

შემუშავებულია აკადემიური საბჭოს

16.04.2018წ. №21 დადგენილებით

დამტკიცებულია -- 20.04.2018წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს №14 დადგენილებით

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა



**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინტერნაციონალური, ინტერკულტურული და/ან გლობალური განზომილებების ინტეგრაციის პროცესს უმაღლესი სასწავლებლის მიზნებსა და ფუნქციებში (სწავლა/სწავლება, კვლევა, მომსახურება).
2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ზოგად დებულებებთან.
3. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას განსაზღვრავს მართვის ორგანოები და წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმართვისას ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, სამსახურის დებულებით.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების ნაწილში სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

**მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი**

1. თანამედროვე მზარდი ცოდნის მსოფლიოში, სწრაფად განვითარებადი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად სათანადო ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი პირების მომზადება.
2. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა
3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა
4. ერთობლივი პროგრამების/პროექტების შემუშავების/განხორციელების ხელშეწყობა
5. საერთაშორისო კვლევებში პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა

6. უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვა.
7. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

### მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის განხორციელების მექანიზმები

1. სასწავლო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას წარმართავს უმაღლესი განათლების საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარებისა და Erasmus+-ის ფარგლებში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობისა და საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროექტებში მონაწილეობის გზით.
2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ხორციელდება ეფექტური დაგეგმარების, კომუნიკაციისა და კოორდინირების გზით ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობით, სწორად შერჩეული პერსონალით (ენის კარგი ცოდნით, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარით, საუკეთესო საკომუნიკაციო თვისებებით, პროექტების მართვის გამოცდილებით, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარით)
3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში განისაზღვრება სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები, მონიტორინგის საშუალებები, ადმინისტრაციული ერთეულის ჩართულობის ხარისხი, რეკლამა (ბუკლეტები, ვებგვერდზე ინფორმაცია, ლიფლეტები და სხვა), შიდა კომუნიკაცია, დაფინანსების წყაროები, საერთაშორისო კონფერენციები, სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირებულობა მობილობასთან დაკავშირებით (აპლიკაციის შევსება, ვიზის საკითხები, საცხოვრებელი პირობები, დაზღვევა, ჩასვლა, სოციალური აქტივობები, საორიენტაციო კვირების მოწყობა, სასწავლო ხელშეკრულების მომზადება, ნიშნების ფურცლის შევსება, შეფასება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, მობილობის საგანმანათლებლო პროგრამის მართვა, მობრუნება, აღიარება, მობილობის ბოლოს ანგარიშების წარდგენა), საზაფხულო სკოლები, მასპინძლობის სერვიზები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის.

### მუხლი 4. ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

